საგადასახადო ტესტი

ნაწილი A — არჩევითპასუხიანი კითხვები

თითოეული კითხვა ფასდება 2 ქულით (სულ 40 ქულა)

1.

ინდივიდუალურმა მეწარმემ „ჭიჭიკო ბენდელიანი“, რომელიც ვაჭრობს სამშენებლო მასალებით (სხვა საქმიანობას არ ეწევა), ელიავას ბაზრობის ტერიტორიაზე 2023 წლის 3 იანვრიდან მიიღო მცირე ბიზნესის სტატუსი.
2023 წლის 20 ნოემბრისთვის მისმა შემოსავალმა შეადგინა 505,000 ₾.

მეწარმე აგრძელებს საქმიანობას 2024 წელსაც მცირე ბიზნესის სტატუსით და 2024 წლის 10 ოქტომბრისთვის მისი შემოსავალი კვლავ აჭარბებს 500,000 ₾-ს და შეადგენს 506,000 ₾.

რომელი თარიღიდან მოეხსნება მას მცირე ბიზნესის სტატუსი?

ა) 2023 წლის 20 ნოემბრიდან
ბ) 2024 წლის 10 ოქტომბრიდან
გ) 2025 წლის 1 იანვრიდან
დ) სტატუსი შენარჩუნდება შემდგომ პერიოდებშიც

2.

შპს „ვანო და ძმებმა“ კანონით დადგენილ ვადაში წარადგინა 2024 წლის დეკემბრის დღგ-ის დეკლარაცია, რომლის მიხედვით ბიუჯეტში გადასახდელი დღგ შეადგენს 5,000 ₾-ს.

აღნიშნული თანხა ბიუჯეტში გადაირიცხა 2025 წლის 16 მაისს (შაბათი).

შენიშვნა:

- 2025 წლის 10 იანვრიდან საწარმოს ერიცხება სალდირებული ნარჩენი;
- ვადაგადაცილებულ პერიოდზე გამოიყენება 365-დღიანი წელი.

რამდენია დარიცხული საურავი?

ა) 300 ₾
ბ) 305 ₾
გ) 302.5 ₾
დ) 312.5 ₾

3.

ფიზიკურმა პირმა 2025 წლის 1 მაისს იმპორტის რეჟიმით საქართველოში შემოიყვანა მსუბუქი ავტომობილი (სასაქონლო კოდი 8703).

გადახდილია:

- გაფორმების ხარჯები — 200 ₾
- იმპორტის გადასახადი — 120 ₾
- აქციზი — 2,400 ₾

2025 წლის 25 ნოემბერს ავტომობილი ექსპორტზე გავიდა (ყაზახეთში).

აქვს თუ არა პირს თანხის დაბრუნების უფლება და რა ოდენობით?

ა) არ აქვს — 0 ₾
ბ) აქვს — 2,400 ₾
გ) აქვს — 2,520 ₾
დ) აქვს — 2,720 ₾

4.

დღგ-ის გადამხდელი სამედიცინო დაწესებულება ახორციელებს როგორც ჩათვლის უფლების გარეშე, ასევე ჩათვლის უფლებით ოპერაციებს.

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა:

1. ფოიეს 20 m^2 ფართის გაქირავება აფთიაქზე
2. პაციენტის გადაყვანა თურქეთში
3. პაციენტის გადაყვანა ბათუმიდან თბილისში
4. გასვლითი კონსულტაცია უცხოელი საელჩოს თანამშრომლისთვის
5. ბიოლოგიური მასალის გაგზავნა შვეიცარიაში
6. სხვა კლინიკის აპარატურის შეკეთება
7. სამედიცინო მომსახურება არასრულწლოვნებზე

რომელი ოპერაციებია გათავისუფლებული ჩათვლის უფლებით?

ა) 1, 3, 6
ბ) 2, 4, 5
გ) 3, 4, 7
დ) არცერთი

5.

რეგისტრირებულმა ფიზიკურმა პირმა 2025 წელს მიიღო შემდეგი შემოსავლები:

- ავტომობილის გაყიდვა — მოგება 1,000 ₾ (შეძენა 01/12/2024 წ.-10,000₾ , რეალიზაცია 15/04/2025 წ. 11,000 ₾)
- საპენსიო კომპენსაცია (საპენსიო ასაკის მოღწევის და თანხის მოთხოვნის შედეგად) — 20,000 ₾
- უცხოეთში მომსახურება — 5,000 ₾
- საქართველოში მომსახურება — 15,000 ₾
- დაზღვევის ანაზღაურება — 3,000 ₾
- შვილისგან ჩუქება (ავტომობილი) — 200,000 ₾

რომელია საშემოსავლო გადასახადით დასაბეგრი შემოსავალი?

ა) 21,000 ₾
ბ) 20,000 ₾
გ) 24,000 ₾
დ) 221,000 ₾

6.

ჭიჭიკო ბენდელიანის ოჯახი (3 წევრი) იღებს შემოსავლებს:

- ჭიჭიკო: ხელფასი — 24,000 ₾; დივიდენდი — 12,000 ₾
- მეუღლე: პროცენტი — 4,200 ₾; ლატარია — 500 ₾
- შვილი: სტიპენდია — 4,800 ₾; სტუდენტთა ოლიმპიადაში გამარჯვებულთა პრიზი — 500 ₾; ტოტალიზატორი — 6,900 ₾

დაიბეგრება თუ არა ოჯახი ქონების გადასახადით და ამ მიზნისთვის რა არის ოჯახის შემოსავალი?

ა) არ დაიბეგრება — 36,000 ₾
ბ) დაიბეგრება — 52,900 ₾
გ) არ დაიბეგრება — 33,200 ₾
დ) დაიბეგრება — 45,000 ₾

7.

საზოგადოებას გააჩნია აქტივები სხვადასხვა მუნიციპალიტეტში. კერძოდ:

- ქ. მარნეულში ელექტროგადამცემ ხაზებს, რომლის პირვანდელი ღირებულებაც იყო 240,000 ლარი და ექსპლუატაციაში მიღებულია 01.01.2024 წელს.

- ქ. ბოლნისში კომპიუტერულ ტექნიკას, რომლის პირვანდელი ღირებულებაც იყო 70,000 ლარი და ექსპლუატაციაში მიღებულია 01.01.2023 წელს.

- ქ. თბილისში სატვირთო ავტომობილებს, რომლის პირვანდელი ღირებულებაც იყო 100,000 ლარი და ექსპლუატაციაში მიღებულია 01.01.2023 წელს.

ქონებას ამორტიზაცია ერიცხება წრფივი მეთოდით, ვადა — 10 წელი.

დასადგენია: 2024 წლის ქონების გადასახადი.

ა) 0 ₾
ბ) 1,164 ₾
გ) 1,162.80 ₾
დ) 1,326 ₾

8.

უძრავი ქონების ჩუქება (ძმისშვილმა ბიძას)

ქონების საბაზრო ღირებულება — 550,000 ₾.
ხარჯები — 2,000 ₾.

რამდენია საშემოსავლო გადასახადი?

ა) 110,000 ₾
ბ) 79,600 ₾
გ) 0 ₾
დ) 109,600 ₾

9.

სასოფლო-სამეურნეო მიწების ქონების გადასახადი (გალი + მარნეული).

1. გალის რაიონში (დროებით ოკუპირებული ტერიტორია) 1993 წლიდან სახელმწიფოსგან გრძელვადიანი იჯარით (40 წელი) აღებულია 650 000 $მ^2$ სათიბი მიწა,
2. 2019 წლის 15 აგვისტოს მარნეულის მუნიციპალიტეტში შეძენილია 210 000 $მ^2$ ახალასათვისებელი სახნავი მიწა.

შენიშვნა: ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი ორგანოების მიერ დადგენილია სასოფლო-სამეურნეო მიწაზე ქონების გადასახადის შემდეგი განაკვეთები:

მარნეულის მუნიციპალიტეტში- 1 ჰა სახნავ მიწაზე – 82 ლარი;

გალის რაიონში- 1 ჰა სათიბი მიწაზე – 20 ლარი.

რამდენია ქონების (მიწის) გადასახადი?

ა) 0 ₾
ბ) 1,300 ₾
გ) 3,022 ₾
დ) 1,722 ₾

10.

ფიზიკური პირი არის ფიქსირებული გადასახადის გადამხდელი (იხდის **100 ₾ ფიქსირებულ გადასახადს ავტომობილების რემონტის საქმიანობაზე**) და ასევე ახორციელებს სხვა ეკონომიკურ საქმიანობას — გარემონტებული ავტომობილების რეალიზაციას.

2025 წელს განხორციელდა შემდეგი ოპერაციები:

- 31/01/2025 — შეიძენა დაზიანებული ავტომობილი: **15,000 ₾**
- 2025 წლის ივნისში გასწია შეკეთების ხარჯი: **5,000 ₾**
- 05/08/2025 — განახორციელა ავტომობილის რეალიზაცია: **25,000 ₾**

როგორ განისაზღვრება პირის საშემოსავლო გადასახადი ამ ოპერაციებიდან წლიური საშემოსავლო დეკლარაციაში?

ა) 1,250 ₾
ბ) 250 ₾
გ) 1000 ₾
დ) 0 ₾

11.

2025 წლის 17 თებერვალს, საწარმოში შემოსავლების სამსახურის ბრძანების საფუძველზე, დაინიშნა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაცია.

საგადასახადო ორგანოს მიერ საწვავის ავზში ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლინდა **200** ლიტრი ბენზინის დანაკლისი (ბუღალტრული მონაცემებით ნაშთი შეადგენდა **1,200** ლიტრს, ფაქტობრივად კი დაფიქსირდა **1,000** ლიტრი).

ინვენტარიზაციის დაწყებამდე საწარმოს ხელმძღვანელობამ საინვენტარიზაციო კომისიის წევრებს აცნობა, რომ საწვავი შეძენილი იყო 2024 წლის 15 დეკემბერს, **25,000** ლიტრის ოდენობით. აღნიშნულის საფუძველზე, საწარმომ მოითხოვა რეალიზებულ საწვავზე ბუნებრივი დანაკარგების ნორმის გამოყენება.

შენიშვნა:

1. ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული დანაკარგების მაქსიმალური ნორმა, ბენზინის 1 თვეზე მეტი ვადით შენახვის შემთხვევაში, შეადგენს 0.35%-ს.
2. ინვენტარიზაციის დასრულების მომენტისთვის ბენზინის საბაზრო ფასი შეადგენდა **2.50** ლარს.

კითხვა:
რამდენია ინვენტარიზაციით გამოვლენილი აღურიცხავი ბენზინის მოცულობა და ამ სამართალდარღვევისთვის საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული ჯარიმის თანხა?

ვარიანტი	დანაკლისის ოდენობა	ჯარიმა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების დანაკლისისთვის
ა)	500 ლიტრი	125 ₾
ბ)	116 ლიტრი	29 ₾
გ)	0 ლიტრი	1,000 ₾
დ)	1,000 ლიტრი	250 ₾

12.

ცნობილი კარდიოქირურგი, ლუქსემბურგის მოქალაქე (შეღავათიანი დაბეგვრის ქვეყნის რეზიდენტი), თბილისში მდებარე კლინიკაში ახორციელებს გულის ოპერაციებს. ასევე, იგი საქართველოსა და სომხეთის ახალგაზრდა სპეციალისტებს უტარებს მასტერკლასებს.

განსაზღვრეთ, რა განაკვეთით დაიბეგრება ამ პირის საქართველოში მიღებული ჰონორარი (შემოსავალი)?

? პასუხები

ა) 5%-იანი განაკვეთით
ბ) 10%-იანი განაკვეთით
გ) 15%-იანი განაკვეთით
დ) 20%-იანი განაკვეთით

13.

არარეზიდენტი საქართველოს მოქალაქე, რომელიც 3 წელზე მეტია ცხოვრობს კვიპროსში (შეღავათიანი დაბეგვრის ქვეყანა), ფლობს თბილისში, 250 კვ.მ. პენთჰაუსს.

2025 წლის 25 მაისს მან აღნიშნული ქონება 2 წლის ვადით გააქირავა ირანის მოქალაქეზე (შეღავათიანი დაბეგვრის ქვეყნის რეზიდენტი).

განსაზღვრეთ, რა განაკვეთით დაიბეგრება ამ ოპერაციიდან მიღებული შემოსავალი საქართველოში?

? პასუხები

ა) 5%-იანი განაკვეთით
ბ) 10%-იანი განაკვეთით
გ) 20%-იანი განაკვეთით
დ) ოპერაცია არ იბეგრება გადასახადებით

14.

2025 წლის 5 ნოემბერს შემოსავლების სამსახურის მიერ გადასახადის გადამხდელს (რომელიც ახორციელებს შერეულ ეკონომიკურ საქმიანობას) მოთხოვნილ იქნა 2024 წლის დეკემბრის საანგარიშო პერიოდის დეკლარაციაში ასახული დასაბეგრი ბრუნვის დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტაციის წარმოდგენა.

გადამხდელმა მითითებულ ვადაში დოკუმენტაცია არ წარმოადგინა. დგინდება, რომ ანალოგიური სამართალდარღვევისთვის იგი უკვე დაჯარიმებულია 2023 წლის თებერვალში.

განსაზღვრეთ, რა ოდენობის ჯარიმა დაეკისრება გადასახადის გადამხდელს 2025 წლის ნოემბერში.

? პასუხები:

ა) 400 ₾
ბ) 1,000 ₾
გ) ჯარიმა არ დაერიცხება
დ) 200 ₾

15

.საქართველოს საწარმომ საქართველოს ტერიტორიაზე საოფისე კორპუსის მშენებლობასთან დაკავშირებით ესპანურ კომპანიას დაუკვეთა საპროექტო მომსახურების შესრულება.

არარეზიდენტმა კომპანიამ შეასრულა:

- საველე და კვლევითი სამუშაოები (პროექტის განუყოფელი ნაწილი, ცალკე გამოყოფილი ინვოისში) — შესრულებულია საქართველოში, ღირებულებით **10,000 ევრო**
- ძირითადი საპროექტო სამუშაოები — შესრულებულია მადრიდში

საქართველოს რეზიდენტმა საწარმომ მომსახურების სრული ღირებულება გადაიხადა 2025 წლის 15 აპრილს — **45,000 ევრო**.

საბოლოო საპროექტო დოკუმენტაცია ჩაბარდა 2025 წლის 25 მაისს.

გაცვლითი კურსი:

- 15/04/2025 — **3.1363 ₾ / €**
- 25/05/2025 — **3.1061 ₾ / €**

? კითხვა:

იბეგრება თუ არა აღნიშნული ოპერაცია დღგ-ით და თუ იბეგრება, რამდენს შეადგენს დღგ-ის დასაბეგრი ბაზა?

? პასუხები:

ა) არ იბეგრება, სამუშაო შესრულებულია საქართველოს ფარგლებს გარეთ, დასაბეგრი ბაზა — 0 ₾
ბ) იბეგრება, დასაბეგრი ბაზა არის საველე და კვლევითი სამუშაოების ღირებულება — 31,363 ₾
გ) იბეგრება, დასაბეგრი ბაზა არის 141,133.50 ₾
დ) იბეგრება, დასაბეგრი ბაზა არის 139,774.50 ₾

16.

რომელი აქტივები მიეკუთვნება არამატერიალურ აქტივებს?

1. ბანკში გახსნილი აკრედიტივი
2. უზუფრუქტის უფლება
3. მონაცემთა ბაზა
4. ბიტკოინი
5. ფრანშიზა
6. წილი საწესდებო კაპიტალში

? პასუხები:

ა) სწორია 2, 3, 5
ბ) სწორია 1, 4, 6
გ) სწორია 2, 4, 5
დ) ყველა პასუხი სწორია

17.

2025 წლის 1 დეკემბერს საწარმოში დაინიშნა სრული კამერალური საგადასახადო შემოწმება. შემოწმება გამოწვეულია გადასახადის გადამხდელის მიერ 2025 წლის ნოემბერში 2023 წლის დეკემბრის საანგარიშო პერიოდის დეკლარაციის დაზუსტებით.

განსაზღვრეთ, საწარმოს საქმიანობის რომელი პერიოდის შემოწმების უფლება აქვს საგადასახადო ორგანოს.

? პასუხები:

ა) 2022 წლის 1 იანვრიდან — 2025 წლის 1 დეკემბრამდე პერიოდი
ბ) 2023 წლის 1 იანვრიდან — 2025 წლის 1 დეკემბრამდე პერიოდი
გ) წინა საგადასახადო შემოწმებიდან (2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჩატარებული შემოწმება) — შემოწმების დასრულების დღემდე
დ) სრული საგადასახადო შემოწმება ინიშნება მხოლოდ გასვლითი საგადასახადო შემოწმების დროს

18.

თურქეთის მოქალაქე, რომელსაც საქართველოში გააჩნია მუდმივი საცხოვრებელი ადგილის სტატუსი, დაბა შუახევში ეწევა სოფლის მეურნეობას. მას აქვს მანდარინის და თამბაქოს პლანტაციები, საფუტკრე მეურნეობა და ასევე ახორციელებს სატრანსპორტო მომსახურებას.

2025 წლის განმავლობაში მიღებული შემოსავალი:

- მანდარინის ჩაბარება — 50,000 ₺ (მათ შორის არასაკონდიციო — 10,000 ₺)
- თამბაქოს ფოთლის რეალიზაცია — 20,000 ₺
- თურქეთში თაფლის რეალიზაცია — 80,000 ₺
- თურქეთში სოფლის მეურნეობის პროდუქციის საკუთარი ავტომობილით გადაზიდვა — 10,000 ₺

განსაზღვრეთ, რამდენს შეადგენს 2025 წლის საშემოსავლო გადასახადი.

? პასუხები:

ა) 0 ₺
ბ) 32,000 ₺
გ) 2,000 ₺
დ) 12,000 ₺

19.

საგადასახადო მიზნებისთვის ცნება „ორგანიზაცია“-ს მიეკუთვნება:

1. საქართველოს ეროვნული არქივი
2. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
3. საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი
4. საქართველოს ლეიბორისტული პარტია
5. საქართველოს უზენაესი სასამართლო
6. ფონდი „იავნანა“
7. ეუთოს ფილიალი საქართველოში

? პასუხები:

ა) სწორია 1, 2, 5
ბ) სწორია 2, 4, 6, 7
გ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი
დ) ყველა პასუხი სწორია

20.

2026 წლის 25 მარტს ინდივიდუალურ მეწარმეს, მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირს, საამქროს შენობის სახურავის გადახურვის სამუშაოებისთვის გადაერიცხა **10,000 ₾**.

პირი არის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის ვეტერანი, თუმცა არ არის საპენსიო სქემის მონაწილე.

შენიშვნა: აღნიშნულ ოპერაციამდე ინდ. მეწარმეს ეკონომიკური საქმიანობიდან შემოსავალი არ უფიქსირდება.

განსაზღვრეთ, რა ოდენობის საშემოსავლო გადასახადი ექვემდებარება ბიუჯეტში გადახდას.

? პასუხები:

ა) 0 ₾
ბ) 1,000 ₾
გ) 2,000 ₾
დ) 1,400 ₾

საგამოცდო ამოცანა №1

საშემოსავლო გადასახადი

ზოგადი მითითებები

გთხოვთ, ყურადღებით გაეცნოთ შემდეგ პირობებს:

1. ამოცანა შედგენილია საგადასახადო კანონმდებლობის იმ ნორმების მიხედვით, რომლებიც მოქმედებდა **2025 წლის 1 დეკემბრის მდგომარეობით**;
2. ტერმინი **„ბრუტო-თანხა“** მოიცავს დასაკავებელ გადასახადებს (და შესაბამის შემთხვევაში საპენსიო შენატანს), ხოლო **„ნეტო-თანხა“** ნიშნავს თანხას ყველა დაკავების შემდეგ;
3. რეკომენდებულია სამუშაოს შესრულების თანმიმდევრობა:
   - სამუშაო რვეულის შევსება;
   - ხელფასის დარიცხვის უწყისის შევსება;
   - დეკლარაციის შესაბამისი გრაფების შევსება.

ამოცანის პირობა

საქართველოს საწარმო ახორციელებს ლოჯისტიკურ მომსახურებას როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. საწარმოს ძირითადი საქმიანობაა:

- ტვირთების შიდა და საერთაშორისო გადაზიდვა (საავტომობილო, სარკინიგზო და საჰაერო ტრანსპორტით);
- სატრანსპორტო დოკუმენტაციის მომზადება;
- საბაჟო მომსახურება და სხვა დაკავშირებული ოპერაციები.

რეგისტრაციის მონაცემები:

- საგადასახადო აღრიცხვაზე დგას: 01.03.2009
- საიდენტიფიკაციო კოდი: 404500328
- მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი №12, ოფისი 805

ნაწილი I — ხელფასის გამოთვლა

დაქირავებულ პირებზე ხელფასი და სხვა სარგებელი დარიცხულია და გაცემულია **2025 წლის 31 დეკემბერს**.
მონაცემები წარმოდგენილია „ხელფასის დარიცხვის უწყისში“ (ბრუტო-თანხებში).

განსაკუთრებული პირობები თანამშრომლებისთვის

1. **ზ. ბაბუხაძე** — ბუღალტერი
    - შშმ პირი (მნიშვნელოვნად გამოხატული)
    - წლის დასაწყისიდან დაგროვილი შემოსავალი: 4,050 ლარი
2. **ი. ვარაზი** — ლოჯისტიკის მენეჯერი
    - მარტოხელა მშობელი
    - წლის დასაწყისიდან დაგროვილი შემოსავალი: 4,000 ლარი
3. **კ. მანუკიანი** — საბაჟო სპეციალისტი
    - მუდმივი საცხოვრებელი: მაღალმთიანი დასახლება (სოფ. კარწახი)
    - წლის დასაწყისიდან დაგროვილი შემოსავალი: 22,000 ლარი
4. **ლ. ზარნაძე** — მძღოლი
    - ავღანეთის მისიის მონაწილე, ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებით
    - წლის დასაწყისიდან დაგროვილი შემოსავალი: 30,000 ლარი
5. მხოლოდ **ლ. ზარნაძე** არ არის საპენსიო სქემის მონაწილე.

დამატებითი ოპერაციები სარგებლის განსაზღვრისათვის

1.1 ბონუსი

ი. ვარაზს შრომის ხელშეკრულების თანახმად დაერიცხა ბონუსი — **500 ლარი (ბრუტო)**

1.2 დანამატი და ჯარიმა

ლ. ზარნაძეს:

- საზღვარგარეთ სამუშაოს შესრულებისთვის დაერიცხა დანამატი: 1,500 ლარი (ბრუტო)
- ჯარიმა:საწვავის გადაჭარბებისთვის დაუკავდა: 400 ლარი (ნეტო)

1.3 სესხის პატიება (ე. დუჩიძე)

დუჩიძეს ჩამოეწერა 2024 წლის 10დეკემბერს გაცემული1წლიანი სესხი:

- სესხის სიდიდე: 10,000 ლარი
- წლიური საპროცენტო განაკვეთი: 10%
- ე.დუჩიძის სარგებლად დეკემბერში აგრეთვე ჩაითვალა პროცენტების სხვაობით წარმოშობილი სარგებელი და დეკემბრის თვის ვალის პატიების თანხაზე ბიუჯეტში გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი.

    განსაზღვრეთ

- დეკემბერის ოპერაციებით:
    - სესხის პატიების სიდიდე
    - დეკამბერში სარგებლის აღიარების სიდიდე
    - გადასახადის დარიცხვა

1.4 საახალწლო საჩუქარი

ყველა თანამშრომელს საჩუქრის სახით გადაეცა **45 ლარის** საბაზრო ღირებულების საახალწლო ნაძვის ხე

1.5 მივლინება (კ. მანუკიანი)

მივლინება (კ. მანუკიანი)

საწარმოს ბრძანებით კ. მანუკიანი 2025 წლის 5–10 დეკემბერს იმყოფებოდა მივლინებაში სომხეთში. მივლინების მიზანი იყო კლიენტებთან საბაჟო დოკუმენტაციისა და ანგარიშსწორებების შედარება.

მივლინებაში მისივე ავტომობილის გამოყენებისთვის გაფორმდა 6-დღიანი იჯარის ხელშეკრულება, რომლის მიხედვით დღიური ქირა შეადგენდა 50 ლარს (ბრუტო).

კ. მანუკიანი ცხოვრობდა ნათესავებთან და შესაბამისად, საცხოვრებლის ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტები არ წარუდგენია.

მივლინების (მათ შორის სატრანსპორტო-ავტომობილის იჯარის) ხარჯების დასაფარად 5 დეკემბერს გაიცა ავანსი — 3,000 ლარი.
დირექტორის 11 დეკემბრის გადაწყვეტილებით, ავანსის ის ნაწილი, რომელიც აღემატება ნორმატიულ დღიურებსა და იჯარის თანხას, ჩაითვალა ხელფასად (ბრუტო).

შენიშვნა:

სომხეთში:

- დღიური ნორმა — 45 აშშ დოლარი
- საცხოვრებლის ნორმა — 120 აშშ დოლარი
- კურსი — 1 USD = 2.7 ლარი
- გადამეტებული თანხა ჩაითვლება ხელფასად (ბრუტო)

დავალება:
განსაზღვრეთ კ. მანუკიანის მიერ მიღებული დასაბეგრი სარგებელი და ასახეთ ხელფასის დარიცხვის უწყისში.

I ნაწილის დავალება:
მონაცემები ჯერ შეიტანეთ სამუშაო რვეულში, შემდეგ გადაიტანეთ ხელფასის დარიცხვის უწყისში და საბოლოოდ ასახეთ საშემოსავლო გადასახადის დეკლარაციის შესაბამის უჯრებში.

ნაწილი II — სხვა ოპერაციები

2.1 დივიდენდების გაცემა

დეკემბერში 2017 წლამდე დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან სხვადასხვა პირებზე გაცემულია დივიდენდები (ბრუტო თანხით):

- რეზიდენტ ფიზიკურ პირზე— 10,000 ლარი;
- არარეზიდენტ იურიდიულ პირზე (ომანი, შეღავათიანი დაბეგვრის ქვეყანა) — 5,000 ლარი;
- ააიპ „GIRCA“-ზე (საქართველოს საერთაშორისო საავტომობილო გადამზიდავთა ასოციაცია) — 1,700 ლარი;
- თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმოზე (თიზ-ი)— 2,000 ლარი.

2.2 ერთჯერადი ტვირთის გადატანის მომსახურების გაწევა (35 წლის არარეგისტრირებული ფიზიკური პირი)

- მომსახურება: 2,000 ლარი (ნეტო)
- შეღავათი: არ არსებობს

➡ საჭიროა განისაზღვროს :

- ბრუტო სარგებელი
- საპენსიო სააგენტოს ანარიცხი
- საშემოსავლო გადასახადის სიდიდე

2.3 არარეზიდენტის მომსახურება (ბელგია)

ბელგიის სერვის ცენტრის საქართველოში ჩამოსულმა თანამშრომლებმა განახორციელეს საზოგადოების სატვირთო ავტომობილის ძრავის სარემონტო სამუშაოები. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 5,000 ევროს (ბრუტო თანხა).

რეზიდენტობის ცნობა არ არის წარმოდგენილი.

თანხის გადარიცხვის მომენტში (23 დეკემბერი) ევროს კურსი ლართან მიმართებით შეადგენდა 1 € = 2.92 ლარს.

➡ განსაზღვრეთ ამ ოპერაციით წარმოშობილი დასაბეგრი სარგებელი, საშემოსავლო გადასახადი და ასახეთ შესაბამის დეკლარაციაში.

2.4 აზერბაიჯანის კომპანია

20 დეკემბერს ქვეკონტრაქტორს — აზერბაიჯანის კომპანიას გადაერიცხა 8,500 აზერბაიჯანული მანათი (ნეტო თანხა). გადახდა დაკავშირებულია კომპანიის მიერ

რუსთავი–ბათუმის მიმართულებით 6 მსუბუქი ავტომობილის დატვირთვა-გადმოტვირთვისა და ტრანსპორტირების მომსახურების შესრულებასთან.

შენიშვნა: აზერბაიჯანული მანათის კურსი ლართან მიმართებით შეადგენს 1 AZN = 1.7 GEL.

II ნაწილის დავალება:
მონაცემები ჯერ შეიტანეთ სამუშაო რვეულში, შემდეგ ასახეთ საშემოსავლო გადასახადის დეკლარაციის შესაბამის უჯრებში.

ნაწილი III — საინფორმაციო ნაწილის შევსება

3.1 მონაცემები საინფორმაციო ნაწილის შევსებისთვის

- საერთო შემოსავალი: 50,000 ლარი
- მათ შორის ნაღდი ანგარიშსწორებით: 0 ლარი
- სალაროს ნაშთი: 200 ლარი
- 3 თანამშრომლის მიერ 31 დეკემბრისათვის დაუბრუნებული თანხა 10,800 ლარი

3.2 დახმარება

- ყოფილ თანამშრომელს - მარტოხელა პენსიონერს გაცემული დახმარება: 500 ლარი

3.3 ხელფასები

განსაზღვრეთ ხელფასის დარიცხვის უწყისში დარიცხული ხელფასის:

- მინიმალური სიდიდე
- მაქსიმალური სიდიდე

III ნაწილის დავალება:
გადაიტანეთ მონაცემები დეკლარაციის ინფირმაციის ნაწილში.

შენიშვნა:
ქულები მითითებულია ხელფასის დარიცხვის უწყისში, სამუშაო რვეულში და დეკლარაციაში.
სულ: 20 ქულა

ამოცანა №2

შენიშვნა:

ამოცანა შედგენილია საგადასახადო კანონმდებლობის იმ ნორმების მიხედვით, რომელიც ძალაში იყო 2025 წლის 1 დეკემბრის მდგომარეობით.

დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ)

საქართველოს საწარმო ახორციელებს ლოჯისტიკურ მომსახურებას საქართველოსა და უცხო ქვეყნების დამკვეთებისთვის. მისი ძირითადი საქმიანობა მოიცავს ტვირთების საქართველოს შიდა და საერთაშორისო გადაზიდვას საავტომობილო, სარკინიგზო და საჰაერო ტრანსპორტით, სატრანსპორტო დოკუმენტაციის ავტომატურ მომზადებას, ტვირთების საბაჟო გაფორმებას და სხვა მომსახურებებს.

საწარმო საგადასახადო აღრიცხვაზე დგას 2014 წლის 1 მარტიდან.
საიდენტიფიკაციო კოდი: 404500328
იურიდიული მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი №12, ოფისი 805

ამოცანაში მითითებული ყველა თანხა წარმოადგენს ბრუტო (დარიცხულ) თანხას.

1.

5 დეკემბერს საზოგადოებამ საკუთარი საწვავმზიდით, საკუთარი საჭიროებისთვის, **EXW** საბაჟო რეჟიმით განახორციელა **20,000** ლიტრი დიზელის საწვავის ტრანსპორტირება რუმინეთიდან თბილისში.

ხელშეკრულების მიხედვით:

- **1 ლიტრი** დიზელის საწვავის ღირებულება რუმინეთში შეადგენს **1.55 €;**
- ტვირთის ტრანსპორტირების ღირებულება შეადგენს **0.55 €** ტონა/კმ-ზე
- საწარმოს ტრანსპორტირების ხარჯები არ წარმოეშობა, რადგან ტრანსპორტირება ხორციელდება საკუთარი სატრანსპორტო საშუალებით;
- დაზღვევისა და სხვა ხარჯები შეადგენს **500 €.**

შენიშვნა:

1. ამოცანის მიზნებისთვის 1 კგ. უდრის 1 ლიტრს;
2. კონსტანცა (რუმინეთი) — თბილისი მანძილი შეადგენს **2,250** კმ-ს;
3. სსკ-ის მიხედვით დიზელის საწვავი (სეს ესნ კოდი 271019250) იბეგრება აქციზით — **400** ლარი ერთ ტონაზე;
4. განბაჟების თარიღისთვის ეროვნული ბანკის კურსია: 1 € = 3.0 ₾.

დავალება:
განსაზღვრეთ საწვავის საბაჟო ღირებულება და განბაჟებისას გადასახდელი გადასახადების ოდენობა.

2.

15 ნოემბერს საწარმომ გააფორმა ხელშეკრულება რუსეთის კომპანიასთან პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებაზე.

პირობები:

- 1 სამუშაო ადგილზე პროგრამის გამოყენების ღირებულება შეადგენს **12 €** თვეში;
- 2 დეკემბერს კომპანიის სპეციალისტმა თბილისში განახორციელა პროგრამის 4 სამუშაო ადგილზე ინსტალაცია და ჩაატარა თანამშრომლების ტრენინგი;
- მომსახურების ღირებულება შეადგენს **3,000** €;
- ინსტალაციისა და დეკემბრის მომსახურების საფასური გადარიცხულია 25 დეკემბერს;
- კურსი: 1 € = 3.0 ₾.

დავალება:
განსაზღვრეთ დასარიცხი და ჩასათვლელი დღგ-ის თანხა.

3.

8 დეკემბერს საზოგადოებამ ფიზიკურ პირზე გაასხვისა სოფელ დიღომში მდებარე 1 ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი, რომელზეც განთავსებული იყო ძველი ავტოფარეხი, სახელოსნოები და საოფისე შენობა.

ამ ოპერაციის სანაცვლოდ ლილოში შეძენილ იქნა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების **20,000** კვ.მ. მიწის ნაკვეთი, სადაც დაგეგმილია ახალი ავტოფარეხისა და საწარმოო ბაზის მშენებლობა.

- მიწის ღირებულება ლილოში შეადგენს **540,000** ₾;
- მიწის ღირებულება დიღომში შეადგენს **400,000** ₾.

დავალება:
განსაზღვრეთ საანგარიშო თვის დასაბეგრი და ჩასათვლელი ოპერაციების თანხა და დღგ-ის ოდენობა.

4.

2025 წლის სექტემბერში საზოგადოებამ შპს „TEGETA MOTORS“-ს გადაუხადა **12,000** ლარი და შეიძინა **12** ცალი სატვირთო ავტომობილისთვის ზამთრის საბურავები.

დეკემბერში გამოვლინდა, რომ 6 საბურავი არ შეესაბამებოდა ტექნიკურ მოთხოვნებს, რის გამოც მხარეთა შეთანხმებით ისინი დაუბრუნდა გამყიდველს.

დავალება:
განსაზღვრეთ ჩასათვლელი დღგ-ის კორექტირების თანხა.

5.

2025 წლის 28 ნოემბერს საწარმომ შეიძინა **2,000** ლიტრი დიზელის საწვავი **5,900** ლარად (დღგ-ის ჩათვლით) და სრულად ჩაითვალა დღგ.

დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით საწარმო თვეში ორჯერ ახორციელებს სოციალური დაწესებულების (მოხუცთა თავშესაფარი) პაციენტების მიკროავტობუსით უსასყიდლო სატრანსპორტო გადაზიდვას სამედიცინო და სხვა დაწესებულებებში.ამ მიზნით დეკემბერში გამოყენებულ იქნა 200 ლიტრი საწვავი

დავალება:
განსაზღვრეთ აღსადგენი დღგ-ის თანხა.

6.

14–15 დეკემბერს საწარმომ განახორციელა ჩინეთის საელჩოს თანამშრომლის ოჯახის საყოფაცხოვრებო ნივთების ტრანსპორტირება.

ხელშეკრულების თანახმად მომსახურების ღირებულებაა **1,000** ჩინური იუანი.
კურსი: 1 CNY = 3.8 ₾.

დავალება:
განსაზღვრეთ დასარიცხი და ჩასათვლელი დღგ.

7.

10 დეკემბერს ტურისტული კომპანიის დაკვეთით განხორციელდა უცხოელი ჯგუფისთვის მომსახურება, რომელიც მოიცავდა საქართველოში ექსკურსიებს და ავიაბილეთების დაჯავშნას (თბილისი–მოსკოვი–ულან-ბატორი).

- ექსკურსიის ღირებულება: **2,000** ₾
- ავიაბილეთები: **10,000** $
- საკომისიო: 3%
- კურსი: 1 $ = 2.7 ₾

დავალება:
განსაზღვრეთ დასაბეგრი დღგ და მისი ოდენობა.

8.

დეკემბერში შემოტანილია **5,000** ლიტრი დიზელის საწვავი სატვირთო ავტომობილების სტაციონალურ ავზებში. საბაზრო ღირებულებაა **12,500** ₾.

დავალება:
განსაზღვრეთ დასაბეგრი დღგ და მისი ოდენობა.

9.

საზოგადოებას ქ. ზუგდიდში გახსნილი აქვს დამხმარე წარმოება, სადაც ახორციელებს საცდელ სამუშაოებს, რომლებიც დაკავშირებულია მცენარეული (პალმის, სიმინდის, რაფსის და სხვა) და ნარჩენი ზეთებისგან ბიოდიზელისა და სხვა საპოხი მასალების წარმოება, გამოყენება და რეალიზაცია.

ამისთვის დეკემბერში განხორციელდა შემდეგი ოპერაციები:

ა) 5 დეკემბერს შეძენილ იქნა **500** ლიტრი დენატურირებული ეთილის სპირტი (სეს ესნ კოდი 2207 20 000 00), სპირტის კონცენტრაციით 20 მოც.%. გადახდილი თანხა შეადგენს **7,500** ლარს (აქციზისა და დღგ-ის ჩათვლით);

ბ) შეძენილი სპირტიდან დეკემბრის თვეში **400** ლიტრი გამოყენებულ იქნა აქციზური საქონლის — ბიოდიზელის (სეს ესნ კოდი 38 26 00) წარმოებისთვის. წარმოების პროცესში გამოშვებულ იქნა **20,000** ლიტრი ბიოდიზელი;

გ) 100 ლიტრი ეთილის სპირტი გამოყენებულ იქნა არააქციზური საქონლის — სარეცხი ფხვნილის წარმოებაში;

დ) თვის განმავლობაში გამოშვებული **20,000** ლიტრი ბიოდიზელი სრულად იქნა გამოყენებული. კერძოდ:

- **5,000** ლიტრი უსასყიდლოდ გადაეცა კოოპერატივ „მშვიდობას“;
- **15,000** ლიტრი გამოყენებულ იქნა საკუთარი სატვირთო ავტომობილების საწვავით შესავსებად.

ერთი ლიტრი ბიოდიზელის საბაზრო ფასი შეადგენს **2** ლარს (აქციზისა და დღგ-ის გარეშე).

შენიშვნა:

1. ამოცანის მიზნებისთვის 1 კგ. უდრის 1 ლიტრს;
2. სსკ-ის მიხედვით, სეს ესნ 2207 (ეთილის სპირტი) კოდით გათვალისწინებულ საქონელზე აქციზის განაკვეთი შეადგენს **7.5** ლარს (1 ლიტრი სუფთა სპირტი);
3. სსკ-ის მიხედვით, სეს ესნ 38 26 00 (ბიოდიზელი) კოდით გათვალისწინებულ საქონელზე აქციზის განაკვეთი შეადგენს **150** ლარს ერთ ტონაზე.

დავალება:

1. განსაზღვრეთ სპირტის შეძენის ოპერაციის შედეგად დეკემბრის ჩასათვლელი აქციზისა და დღგ-ის თანხა;
2. განსაზღვრეთ ბიოდიზელის გამოყენების შედეგად დასარიცხი აქციზისა და დღგ-ის თანხა.

10.

გარდა ზემოთ აღნიშნული ოპერაციებისა, დეკემბრის თვეში საზოგადოებამ განახორციელა სხვადასხვა მომსახურების გაწევა საერთო თანხით **70,000** ლარი (დღგ-ის გარეშე), მათ შორის:

1. საქართველოში გაწეული ლოჯისტიკური მომსახურება — 40,000 ლარი:

- სატვირთო სახმელეთო გადაზიდვა იურიდიული პირების დაკვეთით — **10,000** ლარი;
- ტვირთების გადაზიდვა ფიზიკური პირების ინდივიდუალური დაკვეთით — **20,000** ლარი;
- საქართველოს რეზიდენტებისთვის ტვირთების გადამზიდველის მოძიება საზღვარგარეთ — **10,000** ლარი.

---

2. უცხოელი კლიენტებისთვის დოკუმენტების საბაჟო გაფორმება საქართველოში— 5,000 ლარი;

3. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის დაკვეთით ზემო სვანეთში მეწყერის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით ტექნიკის, მოწყობილობებისა და პერსონალის ტრანსპორტირება — **8,000** ლარი.

აღნიშნული სამუშაოები ფინანსდება გაეროს კატასტროფების რისკის შემცირების ოფისის (UNDRR) მიერ.

დავალება:
განსაზღვრეთ აღნიშნული ოპერაციების მიხედვით დასაბეგრი დღგ-ის თანხა და დღგ-ის სიდიდე.

II. საზღვარგარეთ გაწეული ლოჯისტიკური მომსახურება — 35,000 ლარი:

- ტვირთის გადაზიდვა ლონდონიდან სტამბოლში — **25,000** ლარი (ეკვივალენტი €);
- უცხოელი ფირმებისთვის ტვირთის კომპლექტაციის, დატვირთვისა და ტრანსპორტირების რაციონალური სქემის შედგენა — **7,000** ლარი (ეკვივალენტი €);
- უცხოელი ფიზიკური პირებისთვის ტვირთის კომპლექტაციის, დატვირთვისა და ტრანსპორტირების მომსახურება — **3,000** ლარი (ეკვივალენტი €).

დავალება:
განსაზღვრეთ აღნიშნული ოპერაციების მიხედვით დასაბეგრი დღგ-ის თანხა და დღგ-ის სიდიდე.

11.

საწარმოს 2025 წლის გაუმიჯნავი ადმინისტრაციული ხარჯები შეადგენს **30,000** ₾ (დღგ-ის ჩათვლით).
წინა წლის ბრუნვა შეადგენდა **1,500,000** ₾.მათ შორის:

ა) 18%-იანი დასაბეგრი ბრუნვა **1,280,000** ლარი:

აქედან: ა.ა) სატრანსპორტო საშუალებების რეალიზაცია **100,000** ლარი;

ა.ბ) საწყობის შენობის რეალიზაცია **200,000** ლარი;

ბ) ჩათვლის უფლებით განხორციელებული ოპერაციები **200,000** ლარი;

გ) ჩათვლის უფლების გარეშე გათავისუფლებული ბრუნვა **30,000** ლარი.

დავალება:
განსაზღვრეთ პროპორციული წესით ჩასათვლელი დღგ.

12.

სამუშაო რვეულში განსაზღვრეთ ოპერაციების შედეგები, მიღებული მონაცემები გადაიტანეთ დღგ-ის დეკლარაციაში და დაადგინეთ ბიუჯეტში გადასახდელი ან ზედმეტად გადახდილი დღგ-ის ოდენობა.

შენიშვნა:
ქულები მითითებულია სამუშაო რვეულში და დეკლარაციაში.
სულ: 20 ქულა

ამოცანა №3

მოგების გადასახადი (ესტონური მოდელი)

საქართველოს საწარმო ახორციელებს ლოჯისტიკურ მომსახურებას საქართველოს და უცხო ქვეყნების დამკვეთებისთვის. მისი ძირითადი საქმიანობაა ტვირთების საქართველოს შიდა და საერთაშორისო გადაზიდვა საავტომობილო, სარკინიგზო და საჰაერო ტრანსპორტით, სატრანსპორტო დოკუმენტების ავტომატური მომზადება, ტვირთების საბაჟო გაფორმება და სხვა.

საწარმო საგადასახადო აღრიცხვაზე დგას 2014 წლის 1 მარტიდან.
საიდენტიფიკაციო კოდი: 404500328
იურიდიული მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი №12, ოფისი 805

ამოცანაში მოცემული ყველა თანხა არის ბრუტო (დარიცხული).

დავალება:
სამუშაო რვეულში შეასრულეთ გამოთვლები და შეავსეთ 2025 წლის დეკემბრის მოგების გადასახადის ყოველთვიური დეკლარაცია და დანართები მოცემული მონაცემების საფუძველზე.

---

1. დამფუძნებელთა გადაწყვეტილება

საანგარიშო წლის დეკემბერში საწარმომ დამფუძნებელ პირებზე გაანაწილა 01.01.2017 წლამდე დაგროვილი მოგება – **80,000** ლარი.

წინა წლების მონაცემები:

- 2014 წელი: წმინდა მოგება – 50,000 ლარი; გადახდილი მოგების გადასახადი – 7,500 ლარი
- 2015 წელი: წმინდა მოგება – 80,000 ლარი; გადახდილი მოგების გადასახადი – 10,000 ლარი
- 2016 წელი: ზარალი – 6,000 ლარი; გადახდილი საავანსო მოგების გადასახადი – 4,000 ლარი

საწარმო ფლობს პოლონეთში რეგისტრირებული კომპანიის კაპიტალის 20%-ს. დეკემბერში დამატებით განაწილდა უცხოეთში მიღებული მოგებიდან დივიდენდი – **10,000** ლარი (€ ეკვივალენტი).

დავალება:
გამოითვალეთ დასაბეგრი ობიექტი და ჩასათვლელი მოგების გადასახადი. მონაცემები გადაიტანეთ დანართი №1-ში.

2. მომსახურების შეძენა ფიზიკური პირისგან

5 დეკემბერს მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურმა პირმა საწარმოს დავალებით შეასრულა სატვირთო ავტომობილის ძრავის კაპიტალური შეკეთება – **5,000** ლარი.
ასევე ამ პირისთვის გადახდილია ავტომანქანების დიაგნოსტიკური მოწყობილობების იჯარა – **6,240** ლარი.

დავალება:
განსაზღვრეთ დასაბეგრი თანხა.

---

3. დეკემბერში გაცემული სესხები

სულ: **36,700** ლარი, მათ შორის:

- დაკავშირებული საწარმო – **10,000** ლარი
- არარეზიდენტი პარტნიორი ომანი (შეღავათიანი დაბეგვრის ქვეყანა) – **5,000** ლარი (ეკვივალენტი დოლარში)
- დამფუძნებელი - **აიპ** საქართველოს საერთაშორისო საავტომობილო გადამზიდავთა ასოციაცია „GIRCA”-ს– **1,700** ლარი
- შვილობილი კომპანია (პოლონეთი) – **20,000** ლარი

დავალება:
განსაზღვრეთ დასაბეგრი თანხა.

---

4. მიღებული სესხი

სულ **100 000** ლარი

5 მაისს მოკავშირე საწარმოსგან აღებულია სესხი – **100,000** ლარი, (საპროცენტი განაკვეთი 30% წლიური).
29 დეკემბერს გადახდილია თვის ყუთვნილი პროცენტი – **2,500** ლარი.

დავალება:
განსაზღვრეთ დასაბეგრი თანხა.

---

5. ჯარიმები და პირგასამტეხლოები

- დამკვეთს - ტვირთის დაზიანების გამო სასამართლოს გადაწყვეტილებით ჯარიმის დაკისრება – **20,000** ლარი
- საერთაშორისო ორგანიზაციას - ტვირთვის მიწოდების ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის დარღვევის გამო – **5,000** ლარი
- გარემოსდაცვითი ზედამხედბელობის სახელმწიფო ორგანიზაციას - სატრანსპორტო საშუალების გამონაბოლქვში მავნე ნივთიერებათა შემადგენლობის დადგენილი ნორმის გადამეტების გამო ჯარიმა – **1,500** ლარი

დავალება:
განსაზღვრეთ დასაბეგრი თანხა.

---

6. უსასყიდლო გადაცემები (5,700 ლარი)

- საჩუქრები დამფუძნებლების ოჯახის ბავშვებისთვის – **500** ლარი
- რეკლამა - პრომო აქციაში გამოყენებისთვის სარეკლამო ბუკლეტების დამზადება/დარიგება – **500** ლარი
- დიზელის გადაცემა – **1,200** ლარი
- დამფუძნებელს-ააიპ საქართველოს საერთაშორისო საავტომობილო გადამზიდავთა ასოციაციას „GIRCA" – **3,000** ლარი

დავალება:
განსაზღვრეთ დასაბეგრი თანხა.

---

7. ინვენტარიზაცია

ჩატარებული ინვენტარიზაციით აღმოჩნდა საქონლის დანაკლისი:

- თვითღირებულება – **800** ლარი
- საბაზრო ღირებულება – **1,180** ლარი

დავალება:
განსაზღვრეთ დასაბეგრი თანხა.

---

8. წარმომადგენლობითი ხარჯები

წინა წლის შედეგები:

შემოსავალი – **550,000** ლარი
ხარჯი – **450,000** ლარი

საანგარიშო წლის წარმომადგენლობითი ხარჯები:

- იანვარი – 250 ლარი
- მარტი – 1,300 ლარი
- სექტემბერი – 550 ლარი
- დეკემბერი – 5,300 ლარი

დავალება:
გამოითვალეთ დეკემბრის დასაბეგრი ობიექტი.

---

9. აქციების შეძენა

პირდაპირი შესყიდვის შედეგად შეძენილია უცხოელი ფირმის 20,000 აქცია (ფასი - 3€ თითო აქცია).
ჯამი: **60,000** € (კურსი 3.0).

დავალება:
განსაზღვრეთ დასაბეგრი თანხა.

ინფორმაცია მოგების გადასახადის დეკლარაციის და დანართების შევცებისთვის:

10. დეკემბერში სესხის დაბრუნება

- თანამშრომლის სესხი – **20,000** ლარი
- 2025 წლის ივნისში გადარიცხული ავანსის დაბრუნება - **10 000** ლარი

დავალება:

(შეავსეთ დეკლარაციის დანართი 1[2] და დეკლარაციის 27.1 და 27.2 უჯრა)

11. დანართი 3-სთვის მონაცემები:

ნაშთების მდგომარეობა 01.12.2025 მდგომარეობით:

- კაპიტალი – **100,000** ლარი
- გაცემული სესხები – **15,000** ლარი
- მიღებული სესხები – **70,000** ლარი

დავალება:

შეავსეთ დანართი №3 საწყისი ნაშთები.

შემდგომში:

ა) განსაზღვრეთ თვის განმავლობაში გაცემული და მიღებული სესხების მოცულობა და დაადგინეთ სესხების ნაშთი 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ამოცანები 3 და 4).

ბ) განსაზღვრეთ აღნიშნული ოპერაციების გავლენა საწარმოს საწესდებო კაპიტალზე 2026 წლის 1 იანვრის მდგომარეობით (ამოცანა 11).

---

12. კაპიტალის ზრდა

დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით კაპიტალში დამატებითი შენატანები:

- ავტომობილი – **22,000** ლარი
- რეფრიჟერატორი – **15,000** ლარი
- ფული – **20,000** ლარი
- უცხოეთის ფირმის პირდაპირი შესყიდვით შეძენილი აქციები – **180,000** ლარი

დავალება:
შეავსეთ დანართი №3.

---

13. საბოლოო დავალება

შეავსეთ დეკლარაცია და განსაზღვრეთ გადასახადი.

შენიშვნა:
ქულები მითითებულია სამუშაო რვეულში და დეკლარაციაში.
სულ: 20 ქულა